ხელშეკრულება N 102

შუახევი 19 მაისი 2017 წ.

ერთი მხრივ **შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა** (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი გამგებლის ტარიელ ებრალიძის სახით და მეორე მხრივ **ა(ა)იპ „შუახევის ინტელექტ კლუბი“** (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი გამგეობის თავმჯდომარის **ზვიად ფუტკარაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 -ე მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია **შუახევის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებს შორის ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“**(სპორტული ვერსია) ჩატარება

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება **2017 წლის 23 მაისს** სსიპ შუახევის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში.

1.3.CPV79900000

1.4. SMP170001258

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი:

2.1.1. უზრუნველყოფს ინტელექტუალური თამაშისთვის კითხვების მომზადებას; თამაშის ჩატარების ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის და გახმოვანების აპარატურის მიტანა-გამართვას;

2.1.2. შუახევის მუნიციპალიტეტში ინტელექტუალური თამაშის რა? სად? როდის? ჩატარებას გაუძღვება ა(ა)იპ „შუახევის ინტელექტ-კლუბის“ გამგეობის თავმჯდომარე **ზვიად ფუტკარაძე.**

2.2. შემსყიდველი:

2.2.1. უზრუნველყოფს თამაშში მონაწილეობის მისაღებად მონაწილეების წინასწარ ინფორმირებას და გუნდების შერჩევას და თამაშის ლოკაციის ადგილის განსაზღვრას.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება **750 (შვიდას ორმოცდაათი)** ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელწიფო გადასახადს);

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოხდება კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში.

3.3 ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა ერთვის ხელშეკრულებას დანართის სახით

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, **არა უგვიანეს 2017 წლის 31 ივლისამდე.**

4.2. ხელშეკრულების ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;

5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;

5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;

6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ორივე მხარემ მიიღო თითო ეგზემპლარი.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შუახევის მუნიციპალიტი	ა(ა)იპ „შუახევის ინტელექტ-კლუბი“
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.30.	დაბა შუახევი, თამარ მეფის ქუჩა N12
სახელმწიფო ხაზინა	სს „ლიბერთი ბანკი“
ბ/კოდი: TRESGE22	ბ/კოდი LBRTGE22
ა/ა GE 24NB0330100200165022	ა/ა GE39LB0115171413556000
ს/კ 247865145	ს/კოდი 447861760
გამგებელი ტარიელ ებრალიძე	გამგეობის თავმჯდომარე ზვიად ფუტკარაძე

დანართი
შუახევის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლის პედაგოგებს შორის
ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?''
(ხარჯთა აღრიცხვა)

№	ხარჯის დასახელება	თანხა (ლარი)
1	შეკითხვერბის მომზადება-შერჩევა, პროგრამული დამუშავება, თამაშის წამყვანი,დამხმარე სეკუნდანტი (პედაგოგების ჯგუფი და კითხვების მომზადების ტექნიკური ჯგუფი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	230
2	ინტელექტუალური თამაშის ჩატარების ტექნიკური და შრომითი ჯგუფის შრომის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	520
3	სულ ჯამი	750

ა(ა)იპ "შუახევის ინტელექტ კლუბის" გ/თავმჯდომარე: ზვიად ფუტკარაძე